

ფაქტობრივი გარემოებები	შეფასება	დონისძიებები
2015 წელს რეგისტრირებულმა საწარმომ იმავე წელს საკუთარი ძალებით დაიწყო სავაჭრო ობიექტის მშენებლობა და დარეგისტრირდა დღგ-ის გადამხდელად. ობიექტი გათვალისწინებულია ორივე ტიპის დღგ-ის ოპერაციებში გამოყენებისათვის. ობიექტი ექსპლუატაციაში შევიდა 2016 წლის აპრილში. საწარმოს შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში შეყვანამდე სხვა საქმიანობა (დღგ-ის დასაბეგრი ოპერაციები) არ განუხორციელებია.	იმის გათვალისწინებით, რომ საწარმოს საკუთარი წარმოების ძირითადი საშუალების ექსპლუატაციაში მიღების მომენტამდე სხვა საქმიანობა (დღგ-ის ოპერაციები) არ განუხორციელებია, ძირითად საშუალებაზე დღგ-ის ჩათვლის საკითხი უნდა დარეგულირდეს ახლად რეგისტრირებული გადამხდელისათვის განსაზღვრული ნორმების მიხედვით (სსკ-ის 174(9)-ე მუხლი)	მე-2 ვარიანტში დეკლარაციაში გადასახადის თანხის შემცირების შემთხვევაში პირი დაჯარიმდება სსკ-ის 275-ე მუხლის მიხედვით
საწარმომ 2016 წლის აპრილის თვის დღგ-ის დეკლარაციაში დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციად ასახა ექსპლუატაციაში შეყვანილი შენობა-ნაგებობის ღირებულება, ხოლო მასზე დარიცხული და დღგ-ის დეკლარაციაში ასახული დღგ-ის თანხა იმავე თვეში ჩაითვალა სრულად.	სსკ-ის 174(9)-ე მუხლის მიხედვით, დღგ-ის ახლად რეგისტრირებული გადამხდელისათვის ამავე მუხლის მე-7 ნაწილის „გ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დღგ-ის ჩათვლის წესი არ გამოიყენება. შესაბამისად, საწარმოს ძირითად საშუალებებზე დღგ-ის ჩათვლის 4 შესაძლო ვარიანტიდან შეუძლია გამოიყენოს მხოლოდ დარჩენილი 3 შემთხვევიდან ერთ-ერთი, კერძოდ ამავე ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ.ა“ ქვეპუნქტები.	
ვარიანტი 1 სავაჭრო ობიექტის მიხედვით საწარმოს მიერ 2016 წლის განმავლობაში ჩათვლის უფლების გარეშე დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების თანხა საერთო ბრუნვის 4%-ს შეადგენს	ფაქტობრივი გარემოება გამორიცხავს 174(7)-ე მუხლის „ა“ და „ბ“ შემთხვევას, შესაბამისად, ახლად რეგისტრირებულ გადამხდელს ძირითადი საშუალებების მიხედვით დღგ-ის თანხების ჩათვლის მიღების უფლება აქვს სსკ-ის 174-ე მუხლის მე-7 ნაწილის „გ.ა“ ქვეპუნქტის ქვეპუნქტის მიხედვით, რომლის თანახმად თუ დღგ-ის გადამხდელის მიერ წინა საგადასახადო წლის მიხედვით ჩათვლის უფლების გარეშე დასაბეგრი ოპერაციების თანხა საერთო ბრუნვის 20 პროცენტზე ნაკლებია, პირს უფლება აქვს, ძირითად საშუალებაზე პირველივე საანგარიშო პერიოდში სრულად მიიღოს ჩათვლა, ამასთანავე, ყოველი კალენდარული წლის ბოლოს გასაუქმებელი დღგ-ის თანხა განსაზღვროს კალენდარული წლის საერთო ბრუნვის თანხაში ჩათვლის უფლების გარეშე დასაბეგრი ოპერაციების თანხის ხვედრითი წონის პროპორციულად;	
ვარიანტი 2 სავაჭრო ობიექტის მიხედვით საწარმოს მიერ 2016 წლის განმავლობაში ჩათვლის უფლების გარეშე დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების თანხა საერთო ბრუნვის 34%-ს შეადგენს		
საწარმოს დღგ-ის გადაანგარიშება წლის ბოლოს არ განუხორციელებია სსკ-ის 174(8.ა)-ე მუხლის მიხედვით	ორივე ვარიანტში: საწარმოს უფლება აქვს, ძირითად საშუალებაზე პირველივე საანგარიშო პერიოდში სრულად მიიღოს ჩათვლა.	
	ვარიანტი 2 იმის გათვალისწინებით, რომ 2016 წლის განმავლობაში ჩათვლის უფლების გარეშე დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების თანხა აღემატება საერთო ბრუნვის 5%-ს, ჩათვლილი დღგ-ის 1/10 კალენდარული წლის ბოლოს დაექვემდებარება გადაანგარიშებას (გაუქმებებას) 34%-ის ოდენობით (სსკ-ის მუხლი 174(8ა))	

- ✓ ფაქტობრივ გარემოებაში მითითებული წლები პირობითია
- ✓ იგულისხმება, რომ საწარმო 2015-2016 წლებში მშენებლობისათვის შეძენილ მასალებზე სრულად იღებდა ჩათვლებს.

სიტუაციური სახელმძღვანელო მომზადებულია 2018 წლის 26 აპრილისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ანოტაცია

“საკუთარი წარმოების ძირითად საშუალებათა მიხედვით დღგ-ის ჩათვლა” N 11111

სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე

სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს დღგ-ის ჩათვლის მომენტის განსაზღვრის საკითხს იმ შემთხვევებში, როდესაც ამ ძირითადი საშუალების ექსპლუატაციის მიღების მომენტამდე საწარმოს სხვა საქმიანობა არ განუხორციელებია.

ფაქტობრივი გარემოების მიხედვით 2015 წელს რეგისტრირებულმა საწარმომ იმავე წელს საკუთარი ძალებით დაიწყო სავაჭრო ობიექტის მშენებლობა და დარეგისტრირდა დღგ-ის გადამხდელად. ობიექტი გათვალისწინებულია ორივე ტიპის დღგ-ის ოპერაციებში გამოყენებისათვის. ობიექტი ექსპლუატაციაში შევიდა 2016 წლის აპრილში. საწარმოს შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში შეყვანამდე სხვა საქმიანობა (დღგ-ის დასაბეგრი ოპერაციები) არ განუხორციელებია. საწარმომ 2016 წლის აპრილის თვის დღგ-ის დეკლარაციაში დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციად ასახა ექსპლუატაციაში შეყვანილი შენობა-ნაგებობის ღირებულება, ხოლო მასზე დარიცხული და დღგ-ის დეკლარაციაში ასახული დღგ-ის თანხა იმავე თვეში ჩაითვალა სრულად.

პირველი ვარიანტის თანახმად სავაჭრო ობიექტის მიხედვით საწარმოს მიერ 2016 წლის განმავლობაში ჩათვლის უფლების გარეშე დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების თანხა საერთო ბრუნვის 4%-ს შეადგენს

მეორე ვარიანტის თანახმად სავაჭრო ობიექტის მიხედვით საწარმოს მიერ 2016 წლის განმავლობაში ჩათვლის უფლების გარეშე დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების თანხა საერთო ბრუნვის 34%-ს შეადგენს

ამასთან, საწარმოს დღგ-ის გადაანგარიშება წლის ბოლოს არ განუხორციელებია სსკ-ის 174(8.ა)-ე მუხლის მიხედვით

იმის გათვალისწინებით, რომ საწარმოს საკუთარი წარმოების ძირითადი საშუალების ექსპლუატაციაში მიღების მომენტამდე სხვა საქმიანობა (დღგ-ის ოპერაციები) არ განუხორციელებია, ძირითად საშუალებაზე დღგ-ის ჩათვლის საკითხი უნდა დარეგულირდეს ახლად რეგისტრირებული გადამხდელისათვის განსაზღვრული ნორმების მიხედვით (სსკ-ის 174(9)-ე მუხლი), რომლის მიხედვითაც დღგ-ის ახლად რეგისტრირებული გადამხდელისათვის ამავე მუხლის მე-7 ნაწილის „გ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დღგ-ის ჩათვლის წესი არ გამოიყენება. შესაბამისად, საწარმოს ძირითად საშუალებებზე დღგ-ის ჩათვლის 4 შესაძლო ვარიანტიდან შეუძლია გამოიყენოს მხოლოდ დარჩენილი 3 შემთხვევიდან ერთ-ერთი, კერძოდ ამავე ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ.ა“ ქვეპუნქტები.

შესაბამისად, ფაქტობრივი გარემოება გამორიცხავს 174(7)-ე მუხლის „ა“ და „ბ“ შემთხვევას, შესაბამისად, ახლად რეგისტრირებულ გადამხდელს ძირითადი საშუალებების მიხედვით დღგ-ის თანხების ჩათვლის მიღების უფლება აქვს სსკ-ის 174-ე მუხლის მე-7 ნაწილის „გ.ა“ ქვეპუნქტის ქვეპუნქტის მიხედვით, რომლის თანახმად თუ დღგ-ის გადამხდელის მიერ წინა

საგადასახადო წლის მიხედვით ჩათვლის უფლების გარეშე დასაბეგრი ოპერაციების თანხა საერთო ბრუნვის 20 პროცენტზე ნაკლებია, პირს უფლება აქვს, ძირითად საშუალებაზე პირველივე საანგარიშო პერიოდში სრულად მიიღოს ჩათვლა, ამასთანავე, ყოველი კალენდარული წლის ბოლოს გასაუქმებელი დღე-ის თანხა განსაზღვროს კალენდარული წლის საერთო ბრუნვის თანხაში ჩათვლის უფლების გარეშე დასაბეგრი ოპერაციების თანხის ხვედრითი წონის პროპორციულად;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ორივე ვარიანტში საწარმოს უფლება აქვს, ძირითად საშუალებაზე პირველივე საანგარიშო პერიოდში სრულად მიიღოს ჩათვლა. ხოლო მეორე ვარიანტში იმის გათვალისწინებით, რომ 2016 წლის განმავლობაში ჩათვლის უფლების გარეშე დღე-ით დასაბეგრი ოპერაციების თანხა აღემატება საერთო ბრუნვის 5%-ს, ჩათვლილი დღე-ის 1/10 კალენდარული წლის ბოლოს დაექვემდებარება გადაანგარიშებას (გაუქმებებას) 34%-ის ოდენობით (სსკ-ის მუხლი 174(8ა)), შესაბამისად მე-2 ვარიანტში დეკლარაციაში გადასახადის თანხის შემცირების შემთხვევაში პირი დაჯარიმდება სსკ-ის 275-ე მუხლის მიხედვით.